



საქართველოს მეცნიერებათა ეროვნული აკადემია

ქართული ენციკლოპედიის ი. აბაშიძის სახელობის მთავარი სამეცნიერო რედაქცია

კალანდაძე ლეონიდე პოლიევქტის ძე



ლ. პ. კალანდაძე

კალანდაძე ლეონიდე პოლიევქტის ძე [4(16). XI. 1898, სოფ. ხიდისთავი, ახლანდ. ჩოხატაურის მუნიციპალიტეტი, - 23. VII. 1968, თბილისი], აგრონომ-ენტომოლოგი. საქართველ. მეცნ. აკად. წ.-კორ. (1946); საქართველ. მეცნ. დამს. მოღვაწე (1954). დაამთავრა თსუ-ის აგრონ. (1921) და მიუნხენის უნივერსიტეტის სატყეო (1927) ფაკ-ტი. 1932-68 იყო საქართველ. სას.-სამ. ინ-ტის ზოოლ. და ენტომოლოგიის კათედრის გამგე და დირექტორის მოადგილე სასწ. ნაწილში (1945-50). კ. საქართველოში სამედ. ენტომოლოგიის ერთ-ერთი ფუძემდებელია. ხელმძღვანელობდა კოლოების სახეობრივი შედგენილობისა და გავრცელების შემსწავლელ ექსპედიციებს. მისივე თაოსნობით ტროპ. სნეულებათა ინ-ტში მოეწყო სპეც. ენტომ. ლაბორ., საგამბუზიო და სხვ. გამოიკვლია ჭაობების და მცირე ზომის წყალსატევების ფაუნა, დაამუშავა ქართ. ენტომოლოგიური ტერმინოლოგია; მისი საერთო რედაქციითა და თანაავტორობით შედგა ენტომოლ. სახელმძღვანელო (ნაწ. 1-2, 1956-62).

მიღებული აქვს სახელმწ. ჯილდოები.

გ. თოდუა